სახასო გლეხთა მამულების გაყიდვა

ტფილისი, 6 ივლისი, 1887 წელი.

ჩვენ არა ერთხელ ამ რამდენისამე წლის წინათ გამოგვითქვამს ჩვენი გულითადი მწუხარება იმის გამო, რომ სახასო გლეხთა ვენახები მომრიგებელ-მოსამართლეებმა ვაჭრობის საგნად გახადეს და გლეხებს ვალში უყიდიდნენ. ზოგადი კანონები, რომელნიც საქართველოსათვისაც სავალდებულონი არიან, დიდად ეწინააღმდეგებიან ამნაირს მოქმედებას, თუ გლეხის ვენახები საკუთარს მიწაზედ არ არიან გაშენებულნი. სახასო, ესე იგი სახელმწიფო მიწებზედ გაშენებულნი ვენახები, კანონის სიტყვით, შესაძლოა გაისყიდოს თვითონ გლეხის ნებითა, თუ უნებურობითა მხოლოდ მაშინ, როცა მსყიდველი თვითონ სახელმწიფო გლეხია და იმავე საზოგადოებისა თუ სოფლისა, რომელსაც თვითონ ვენახის პატრონი ეკუთვნის. ამ სახით კანონით აკრძალულია სხვა წოდების კაცმა სყიდვით დაინარჩუნოს სახელმწიფო მიწაზედ გაშენებული ვენახი.

ზედმოსევამ და, როგორც ეტყობა, ძლიერ ზედმოსევამაც ვაჭრობისამ და ფულის პატრონებისამ ამ ცხადს კანონს შეუშალეს აზრი და სახე. კანონი პირდაპირ აცხადებდა თავის სურვილს და განზრახვასა. აქ რომ ვერას შეუვიდნენ, ერთი სასაცილო გზა იპოვეს კანონის გასამრუდებელად, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კანონის გზის ასაქცევად. მოიგონეს, რომ შესაძლოა ვენახი გლეხისა გაიყიდოს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მიწა არ დაეკუთვნოს მსყიდველსა და მარტო ვაზი და ყოველივე, რაც მიწაზე ზეზე სდგას, გასასყიდს საგნად გახდეს. ზოგიერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ ეს მოხერხებული ხრიკი ხელზე დაიხვია და დაუწყო სახასო გლეხების სახასო მიწაზედ გაშენებულ ვენახებს ვალში გაყიდვა. ის კი აღარ წარმოიდგინა, რომ ვენახი მაშინ არის ვენახი, როცა მიწა და ვაზი ერთად არიან განუყოფელად; როცა ერთს განაშორებ მეორისაგან, მაშინ ვენახი ვენახი აღარ არის.

ამ უცნაურს გასყიდვას, რომლის ძალითაც ტყავი რჩებოდა და მხოლოდ მასზედ ამოსული ბეწვი ცალკე იყიდებოდა. რომ ბოლომდე მიჰყოლოდნენ, კიდევ ცოტაოდნად შეღავათი ექმნებოდა გლეხსა. მაგრამ ეს არ მოხდა. რადგანაც ვენახი მხოლოდ მაშინ არის ვენახი, როცა ვაზი და მიწა განუყოფელად არიან და არა ცალკ-ცალკე, ამიტომაც ხსენებულ ხერხით გაყიდული ვაზი მიწას არა ჰშორდებოდა და ამ სახით მარტო ვაზის მსყიდველი მიწის პატრონადაც ჰხდებოდა უსყიდველად და უხარჯოდ. ფულის პატრონები სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ და იძახოდნენ: „ეს რა კარგი დრო დაგვიდგაო. ჩალის ფასად ვაზსა ვყიდულობთ, იმიტომ რომ ცარიელი ვაზი მეტადაც არა ჰღირს, და ამით მიწასაც ვეპატრონებითო. მეტი ხეირიღა გინდაო“.

ეს ასეთი ხერხიანობა გლეხთა ვენახების გასყიდვაში 1870 – 1880 წლებში ისეთი ხშირი იყო, რომ გლეხკაცობას მტვერი აედინა. ნამეტნავად თელავისა და სიღნაღის მაზრაში ბევრი მსხვერპლი შეიწირა ამ ხერხიანობამ და ბევრი ვენახები აესხლიტა გლეხკაცობასა. თელავისა

და სიღნაღის მოქალაქეებს აუარებელი ვენახები გამოუცლიათ ამ გზით გლეხკაცობისაგან. მთავრობის კაცისაგან ადგილობრივი გამოძიება საოცარს რიცხვს ამ ხერხით გაყიდულ ვენახებისას გვაუწყებს[*]. მაგალითებრ, მარტო სიღნაღის მაზრაში 381 ვენახი ჩაუგდიათ ხელში მოქალაქეებსა და თელავის მაზრაში 224 და სულ მთელს კახეთში-კი 605 ვენახი გასყიდვიათ გლეხთა და თითქმის ეს ამოდენა რიცხვი ვენახებისა ხელიდამ გამოსცლია გლეხკაცობას და თელავისა და სიღნაღის მოქალაქეებს დარჩენიათ სანავარდოდ.

ნეტავ ვიცოდეთ: როგორ გაუძღვებოდა სამართალი, რომ ეხლა კაცმა უთხრას ამ ვენახების მსყიდველებს: თქვენ, თქვენის ნასყიდობის სიგელის ძალით, გიყიდნიათ მარტო ვაზები ვენახისა და მიწა-კი არა; მაშ ამოთხარეთ თქვენი ვაზები და საიდამაც მოსულხართ, იქ წაბრძანდითო, მიწასთან ხელი არა გაქვთო? მეტად საყურადღებო საქმე იქმნებოდა, რომ ერთმა ვინმე, ან თვითონ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, მოიწადინოს ამ გზით წამოაყენოს ეს დავიწყებული საქმე და ხერხით გამრუდებული კანონი სამართალს გაასწორებინოს.

შენიშვნა:

[*] ნახეთ: Материалы для изучения экон. быта госуд. крестьян. ტ. IV, გვ. 225 – 244 და ტ. V, გვ. 37 – 62.